



## მოწვევა განაცხადების მისაღებად

### საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს განაცხადებს საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შესაფასებლად. კონკურსი ცხადდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობა.

#### პრობლემის აღწერა

ევროპული ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იგი გამოიხატება საქართველოს კანონმდებლობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ჰარმონიზაციით ევროკავშირის რეგულაციებთან. ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას ბევრი ვალდებულება აქვს ნაკისრი, რომლებიც გაწერილია საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან დაახლოების კუთხით, საქართველომ ბოლო წლების მანძილზე საგრძნობ პროგრესს მიაღწია, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა გასაწევი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ხელსუფლების მიერ განხორციელებული საქმიანობის სამოქალაქო მონიტორინგის გზით, ქართული საზოგადოების აქტიური ჩართვა ევროკავშირ - საქართველოს თანამშრომლობის ჩარჩოს ფორმირებასა და მიღწეული შედეგების შეფასებაში. ეს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, რითაც საქართველო - ევროკავშირის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა.

## კონკურსის მიზანი

საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საზოგადოებრივი შეფასება.

## კონკურსის ამოცანა

კონკურსი მიმართულია საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის 2.4 თავის „ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები“ ვალდებულებებისა და იგივე საკითხებზე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2014 - 2015 წლებში საქართველოს მიერ გაწეული საქმიანობისა და პროგრესის შესაფასებლად.

კერძოდ, კონკურსის თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ვაჭრობა და კაპიტალის მოძრაობა (საქონლით ვაჭრობა; წარმოშობის წესები; დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია; მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა; ვაჭრობა და მდგრადი განვითარება);
2. ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
3. საბაჟო პროცედურები და ვაჭრობის ხელშეწყობა;
4. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები;
5. კონკურენცია.

თითოეული საკონკურსო განაცხადი უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე, ერთი ზემოთჩამოთვლილი საკითხის ყოვლისმომცველ და ფაქტებზე დამყარებულ შეფასებას.

შეფასება უნდა ეფუძნებოდეს საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტებს.

## ვის შეუძლია განაცხადების წამოდგენა?

განაცხადების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

ფონდი მკვლევარებად ვერ მიიღებს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებსა და/ან პირებს, რომლებიც აქტიური პოლიტიკური საქმიანობით არიან დაკავებული.

## დაფინანსება

კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდება იმდენი პროექტი, რამდენიც საჭირო იქნება საკონკურსო თემატიკის სრულად მოსაცავად. გამარჯვებულებთან ფონდი გააფორმებს ხელშეკრულებას მომსახურების მიწოდებაზე. „კონკურსის ამოცანაში“ ჩამოთვლილ თითოეულ თემაზე ანგარიშის მომზადების ხარჯები **5,000** ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ფონდის მიერ გაცემული თანხები შემდეგი ხარჯებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული:

- მონაცემების შეგროვება;
- კომუნიკაცია (ტელეფონი, ინტერნეტი);
- მკვლევარების ხელფასები;
- ტრანსპორტირება;
- სხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული კვლევის განხორციელებასთან.

ფონდის თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ საქმიანობისთვის, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული კვლევის განხორციელებასთან. ეს თანხები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯების დასაფარად, მშენებლობისათვის, უძრავი ქონების შესაძენად თუ ორგანიზაციის დავალიანების დასაფარად. მკვლევართა სახელფასო განაკვეთებისა და მათ მიერ კვლევისათვის გამოყოფილი სამუშაო დროის ადეკვატურობა ნათლად უნდა იყოს დასაბუთებული.

## შერჩევის პროცესი

საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება:

1. კონკურსის მიზანთან და პირობებთან შესაბამისობა;
2. კვლევართა კვალიფიკაცია და გამოცდილება;
3. კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიის ეფექტიანობა;
4. კვლევის ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა.

## კვლევის ჩატარების განრიგი და მოსამზადებელი ანგარიშის ფორმატი

მკვლევარებმა უნდა აიღონ ვალდებულება:

- მოამზადონ ანგარიში (არაუმეტეს 20 გვერდისა საკონკურსო თემატიკის თითო საკითხზე, A4 ფორმატში, Sylfaen 12 შრიფტით, ინტერვალის გარეშე) ქართულ ენაზე, 2016 წლის 1 თებერვლისთვის შემდეგი სტრუქტურით:
  - შესავალი და ანგარიშის მოკლე მიმოხილვა;
  - კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა;
  - საქართველო -ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგითა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების განხორციელების 2014 – 2017 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა;
  - დასკვნები და რეკომენდაციები
- რედაქტირება გაუკეთონ ინგლისურად ნათარგმნ ანგარიშის მოკლე მიმოხილვას;
- წარადგინონ ანგარიში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ მოწყობილ პრეზენტაციაზე.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი უზრუნველყოფს:

- ყველა ანგარიშის საბოლოო რედაქტირებას;
- ანგარიშების მოკლე მიმოხილვების თარგმნას ქართულიდან ინგლისურად;
- ანგარიშების გამოცემას;
- ანგარიშების პრეზენტაციების მოწყობას.

## განაცხადების წარდგენის პროცედურები

განმცხადებლებმა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფისში შემდეგი დოკუმენტები უნდა წარადგინონ (ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე):

- მკვლევარების კვალიფიკაციის დეტალური აღწერილობა;
- კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა და დასაბუთება;
- წინასწარი სამუშაო გეგმა;
- ბიუჯეტი;
- მკვლევარის მიერ შემოთავაზებულ თემაზე ადრე მომზადებული ანგარიშის ასლი.

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2015 წ. 9 ნოემბერი, ორშაბათი, 16:00.

განმცხადებლები ფონდისგან წერილობით პასუხს მიიღებენ არაუგვიანეს 2015 წ. 30 ნოემბრისა.

### **საკონტაქტო ინფორმაცია**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, კავსაძის 3, მე-2 სართული, ტელ.: 225 39 42/ 43;  
საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, პროგრამის თანაშემწე, ელფოსტა:  
[lberdzuli@epfound.ge](mailto:lberdzuli@epfound.ge)